ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

№10.30/10/048

ქ. თბილისი 06 მაისი 2014 წელი

ერთის მხრივ ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის გამგეობა (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი რაიონის გამგებლის დავით დაღელაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ი.მ. „გიორგი კანდელაკი - ვესტა" (შემდგომში მიმწოდებელი), დირექტორის გიორგი კანდელაკის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 20[2] მუხლის, „საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 07 თებარვლის N185 განკარგულებისა და ,,საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 23 იანვრის N3 ბრძანების საფუძველზე, „საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვის (**CON140000023**) (შემდგომში - კონსოლიდირებული ტენდერი) შედეგად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები:

1.1. ხელშეკრულება - წინამდებარე სახელმწიფოშესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითურთ.
1.2. შემსყიდველი-ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.3. მიმწოდებელი-პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.4. ხელშეკრულების ღირებულება - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულებისათვის.
1.5. დღე, კვირა, თვე - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.6. ფორსმაჟორი - მოცემულ შემთხვევაში აუცდენელი დაუძლეველი ძალა, რომელიც დგება მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად და ატარებს წინასწარ გაუთვალისწინებელ ხასიათს, კერძოდ, მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ომი, რევოლუცია, აჯანყება, იმპორტისა და ექსპორტის აკრძალვა, აგრეთვე სხვა გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი:

2.1. ხელშეკრულების საგანია ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის ადგლობრივი ბიუჯეტის სახსრებით A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის (CPV – 30197630) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.
2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება:

3.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს **2464 (ორიათასოთხასსამოცდაოთხი) ლარს.**
3.2.ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.
3.3 1 შეკვრა (500 ფურცელი) უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის ღირებულება შეადგენს 6,16 (ექვსი ლარი და 16 თეთრი) ლარს.

მუხლი 4. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება:

4.1.საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშფაქტურის ხელმოწერა ზეუფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულების 7.1 პუნქტში მითითებული პირი.
4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება ფაქტობრივად მოწოდებული საქონლის შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
4.3. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლისმიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 5(ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს საბუჰდი ქაღალდის მიწოდებიდან 10 (ათი) სამუშაო დღისგანმავლობაში.

მუხლი 5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა:

მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე, ეტაპობრივად, მოთხოვნიდან ერთი სამუშაო დღის განმავლობაში შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, არაუგვიანეს 3 (სამი) დღის ვადაში
შემსყიდველის მისამართზე **დ. აღმაშენებლის გამზ №65.**

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი:

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;
გ) ამ მუხლის 6.3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოსეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.
6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
6.3. მიმწოდებელივალდებულია:
ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.
ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად დანივთობრივად უნაკლო საქონელი.
გ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა ან შეკეთება შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე.

მუხლი 7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები:

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს **გამგეობის აპარატის უფროსი ანა გამყრელიძე.**
7.2.ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე შესყიდული საქონლის ხარისხის შემოწმებას.
7.3.მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ინსპექტირების ჩატარებას აკუთარი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით.
ინსპექტირების მიზნით გამოყენებული საკუთარი ან მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.
7.4.ნებისმიერი ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. პირგასამტეხლო:

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 1%-ისოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ის ოდენობით.
8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 % პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

მუხლი9. ფორს-მაჟორი:

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხის მგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორით.
9.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორს მაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა:

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2.ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდე სხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
10.3 საქონლის საბაზრო ღირებულების არსებითი ცვლილება.
ეს მუხლი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ფასის ცვლილება აჭარბებს 5%-ს და არ აღემატება 10%-ს.
10.4. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი11. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი:

11.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
11.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი12. შეტყობინება:

12.1.ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
12.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი13. გადასახადები და დაბეგვრა:

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 14. ხელშეკრულების ენა:

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

ხელშეკრულება ძალაშია მისი **ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრამდე.**

მუხლი 16. სხვა პირობები:

16.1.არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
16.2.მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"

ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის გამგეობა
მისამართი: გრ. რობაქიძის გამზ. №2
ტელეფონი: 2 37 87 72
საიდენტიფიკაციო კოდი: 202467320
საბანკო რეკვიზიტები: სს "ლიბერთი ბანკი"
საბანკო კოდი LBRTGE22
ანგარიშსწორების ანგარიში:
№GE95LB0125152101627000

„მიმწოდებელი"

ი/მ გიორგი კანდელაკი „ვესტა"
მისამართი: ქ. თბილისი, აღლაშენებლის #55/1
ტელეფონი: 2 94 22 84
საიდენტიფიკაციო კოდი: 01009005243
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი"
BIC კოდი: BAGAGE22
ანგარიშსწორების ანგარიში:
GE75BG0000000888000801

დ. დაღელაშვილი _____ გ. კანდელაკი _____

დანართი №1

ხელშეკრულების საგნის აღწერა

შესყიდვის ობიექტია პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი:

	დასახელება და ტექნიკური მაჩვენებლები	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთოფასი (ლარი)
1	უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი-DoubleA; მწარმოებელი ქვეყანა ტაილანდი; გრამაჟი გრ/მ² 78-82; სისქე(UM)104-110; სითეთრე (CIE) 148-152; გაუმჭვირვალობა 94%; სიკამკაშე 101-104%; ზედაბირის ხაოიანობა (ML/MIN) 150	შეკვრა (500 ფურცლიანი)	400	6,16	2464
საერთიღირებულება მიწოდებასთან დაკავშირებული საქართველოსკანონმდებლობითგათვალისწინებულიყველასახისგადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით 2 855 ლარი					

„შემსყიდველი"

ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის გამგეობა
მისამართი: გრ. რობაქიძის გამზ. №2
ტელეფონი: 2 37 87 72
საიდენტიფიკაციო კოდი: 202467320
საბანკო რეკვიზიტები: სს "ლიბერთი ბანკი"
საბანკო კოდი LBRTGE22
ანგარიშსწორების ანგარიში:
№GE95LB0125152101627000

„მიმწოდებელი"

ი/მ გიორგი კანდელაკი „ვესტა"
მისამართი: ქ. თბილისი, აღლაშენებლის #55/1
ტელეფონი: 2 94 22 84
საიდენტიფიკაციო კოდი: 01009005243
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი"
BIC კოდი: BAGAGE22
ანგარიშსწორების ანგარიში:
GE75BG0000000888000801

დ. დაღელაშვილი _____ გ. კანდელაკი _____

წერილი
სახელმწიფო შესყიდვის
(ხელშეკრულება №10.30/10/048 06.05.2014 წელი) განხორციელებისას ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების შესახებ.

ქ.თბილისი 06 მაისი 2014 წელი

ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მიერ 2014 წლის "06" მაისს გაფორმებულ №10.30/10/048 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის გამგეობისათვის საჭირო საბეჭდი ქაღალდის შეძენის სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში მისი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

რაიონის გამგებელი _____ დ. დაღელაშვილი

გამგეობის
აპარატის უფროსი _____ ა. გამყრელიძე